

ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

თავი I

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით (ათასი ლარი):

დასახელება	2021წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
I. შემოსავლები	13,055.7	17,296.3	9,278.6	8,017.7	10,315.0	10,155.0	160.0
გადასახადები	6,870.6	8,420.0	8,420.0	0.0	9,220.0	9,220.0	
გრანტები	5,526.3	8,017.7	0.0	8,017.7	160.0		160.0
სხვა შემოსავლები	658.8	858.6	858.6	0.0	935.0	935.0	
II. ხარჯები	8,211.3	9,946.2	9,692.1	254.1	10,163.3	10,003.3	160.0
შრომის ანაზღაურება	1,719.0	2,458.9	2,378.0	80.9	2,759.0	2,673.0	86.0
საქონელი და მომსახურება	1,309.3	1,535.4	1,425.6	109.8	1,362.0	1,352.0	10.0
პროცენტი	28.8	44.3	44.3	0.0	44.3	44.3	0.0
სუბსიდიები	3,855.1	4,749.9	4,692.7	57.2	5,118.8	5,056.8	62.0
გრანტები	409.7	235.6	235.6	0.0	11.2	11.2	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	537.8	637.3	634.1	3.3	629.0	627.0	2.0
სხვა ხარჯები	351.6	284.8	281.9	2.9	239.0	239.0	0.0
III საოპერაციო სალდო	4,844.4	7,350.1	-413.5	7,763.6	151.7	151.7	0.0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,797.2	8,439.7	195.9	8,243.8	96.0	96.0	0.0
ზრდა	7,456.5	9,365.2	1,121.4	8,243.8	586.0	586.0	0.0
კლება	1,659.3	925.5	925.5	0.0	490.0	490.0	0.0
V მთლიანი სალდო	-952.8	-1,089.6	-609.4	-480.2	55.7	55.7	0.0
VI ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,008.5	-1145.3	-665.1	-480.2	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	1,008.5	1145.3	665.1	480.2	0.0	0.0	0.0

		0.0					
VII .ვალდებულებების ცვლილება	-55.7	-55.7	-55.7	0.0	-55.7	-55.7	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	55.7	55.7	55.7	0.0	55.7	55.7	0.0
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (ათასი ლარი)

განისაზღვროს ბაღდათის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2021წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	14,715.0	18,221.8	10,204.1	8,017.7	10,805.0	10,645.0	160.0
შემოსავლები	13,055.7	17,296.3	9,278.6	8,017.7	10,315.0	10,155.0	160.0
არაფინანსური აქტივების კლება	1,659.3	925.5	925.5	0.0	490.0	490.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	15,723.4	19,367.2	10,869.2	8,497.9	10,805.0	10,645.0	160.0
ხარჯები	8,211.2	9,946.2	9,692.1	254.1	10,163.3	10,003.3	160.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	7,456.4	9,365.2	1,121.4	8,243.8	586.0	586.0	0.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	55.7	55.7	55.7	0.0	55.7	55.7	0.0
ნაშთის ცვლილება	-1008.5	-1145.3	-665.1	-480.2	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 10,315.00 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2021წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	13,055.7	17,296.3	9,278.6	8,017.7	10,315.0	10,155.0	160.0

გადასახადები	6,870.6	8,420.0	8,420.0	0.0	9,220.0	9,220.0	0.0
გრანტები	5,526.3	8,017.7	0.0	8,017.7	160.0	0.0	160.0
სხვა შემოსავლები	658.8	858.6	858.6	0.0	935.0	935.0	0.0

მუხლი 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 9,220.0 ათასი ლარის ოდენობით.

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი
1.1	გადასახადები	6,870.6	8,420.0	9,220.0
1.1.3	გადასახადი ქონებაზე	461.2	770.0	800.0
1.1.3.1.1	ქონების გადასახადი	461.2	770.0	800.0
1.1.4	გადასახადი საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ)	6,409.4	7,650.0	8,420.0

მუხლი 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 160.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5,526.3	8,017.7	160.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1,130.0	244.9	160.0
მიზნობრივი ტრანსფერი	130.0	244.9	160.0
სპეციალური ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	5,396.3	7,772.9	0.0
რგპფ გამოყოფილი თანხები	4,952.4	5,143.1	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	346.0	346.0	0.0
საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის მიზნით	97.9	117.3	0.0
საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტებში დაგეგმილი რეფორმების ფინანსური მხარდაჭერა	0.0	1,666.4	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.0	500.0	0.0

მუხლი 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 935.0 ათასი ლარის ოდენობით.

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი
1.4	სხვა შემოსავლები	658.8	858.1	935.0
1.4.1	შემოსავლები საკუთრებიდან	447.2	540.0	560.0
1.4.1.1	პროცენტები	92.2	60.0	80.0
1.4.1.5	რენტა	355.0	480.0	480.0
1.4.2	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	133.5	195.0	215.0
1.4.2.2	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	110.6	160.0	180.0
1.4.2.2.3	სანებართვო მოსაკრებლები	7.5	10.0	30.0
1.4.2.2.12	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
1.4.2.2.13	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
1.4.2.2.14	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის	103.1	150.0	150.0
1.4.2.3	არასაბაზრო დაწესებულების ერთჯერადი და შემთხვევითი გაყიდვები	22.8	35.0	35.0
1.4.2.3.2	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	22.8	35.0	35.0
1.4.3	სანქციები, ჯარიმები, საურავები	50.1	70.0	90.0
1.4.4	ტრანსფერები რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	27.7	53.1	70.0

მუხლი 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 10,163.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის პროგნოზი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	8,211.3	9,946.2	9,692.1	254.1	10,163.3	10,003.3	160.0
შრომის ანაზღაურება	1,719.0	2,458.9	2,378.0	80.9	2,759.0	2,673.0	86.0
საქონელი და მომსახურება	1,309.3	1,535.4	1,425.6	109.8	1,362.0	1,352.0	10.0
პროცენტები	28.8	44.3	44.3	0.0	44.3	44.3	0.0
სუბსიდიები	3,855.1	4,749.9	4,692.7	57.2	5,118.8	5,056.8	62.0
გრანტები	409.7	235.6	235.6	0.0	11.2	11.2	0.0

სოციალური უზრუნველყოფა	537.8	637.3	634.1	3.3	629.0	627.0	2.0
სხვა ხარჯები	351.6	284.8	281.9	2.9	239.0	239.0	0.0

მუხლი 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 96.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 586.6 ათასი ლარის ოდენობით.

ბ) განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 490.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი
არაფინანსური აქტივების კლება	1659.3	925.5	490.0
ძირითადი აქტივები	342.2	511.0	250.0
არაწარმოებული აქტივები	1317.1	414.5	240.0
მიწა	1317.1	414.5	240.0

მუხლი 9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,707.4	3,053.9	3,942.2
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,643.8	3,031.0	3,842.2
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,643.8	3,024.8	3,812.2
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	6.1	30.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	63.6	22.8	100.0
7.2	თავდაცვა	82.2	93.4	110.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	7,213.4	5,759.7	331.0
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	-	-	20.0
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა	-	-	20.0

7.4.4	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	546.6	104.2	60.0
7.4.4.3	მშენებლობა	546.6	104.2	60.0
7.4.5	ტრანსპორტი	5,361.3	4,958.9	80.0
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,361.3	4,958.9	80.0
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები	761.4	154.3	20.0
7.4.7.3	ტურიზმი	761.4	154.3	20.0
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	543.9	542.1	151.0
7.5	გარემოს დაცვა	1,380.1	1,462.4	1,725.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამამუშავება და განადგურება	1,295.6	1,375.8	1,660.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	37.3	81.5	60.0
7.5.3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	-	-	-
7.5.4	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტის დაცვა	3.3	5.0	5.0
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	43.9	-	-
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	530.2	403.6	440.0
7.6.1	ბინათმშენებლობა	159.9	5.0	0.0
7.6.3	წყალმომარაგება	11.8	50.9	60.0
7.6.4	გარე განათება	358.5	347.7	380.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	-	-	-
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	84.3	95.5	122.8
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	84.3	95.5	122.8
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,176.6	1,434.1	1,746.0
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	380.9	547.2	638.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	699.8	780.1	1,005.0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	95.8	106.7	103.0
7.9	განათლება	1,953.0	1,521.5	1,740.0
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1,394.5	1,286.6	1,740.0
7.9.2	ზოგადი განათლება	558.4	234.8	0.0
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	558.4	234.8	0.0
7.10	სოციალური დაცვა	540.1	621.5	648.0
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	262.6	303.9	295.0
7.10.1.1	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	222.2	269.4	250.0
7.10.1.2	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვა	40.3	34.5	45.0
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	-	5.0
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	11.5	14.0	15.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	31.5	48.5	61.5
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	36.3	80.2	60.0

7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	42.6	42.0	0.0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	155.4	132.7	211.5
	სულ	15.667.7	17.367.2	10.805.0

მუხლი 10. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო
განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო 151.7 ათასი ლარით, ხოლო მთლიანი სალდო -55.7 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროგნოზი
საოპერაციო სალდო	4,844.4	7,350.1	151.7
მთლიანი სალდო	-952.8	-1,089.6	55.7

მუხლი 11. - ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1,008.5	-1,145.3	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0
ვალუტები და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0
კლება	1,008.5	1,145.3	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,008.5	1,145.3	0.0

მუხლი 12. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 55.7 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
ვალდებულებების ცვლილება	-55.7	-55.7	-55.7
ზრდა	0.0	0.0	0.0
კლება	55.7	55.7	55.7

2. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის ვალის მოცულობა 100.0 ათასი ლარის ოდენობით:

კრედიტორი	საპროგნოზო ვალი
1 მუნიციპალური განვითარების ფონდი	100.0

პროცენტი	44.3
ძირი	55.7

ბაღდათის მუნიციპალიტეტს „მუნიციპალური განვითარების ფონდი“-დან აღებული სესხით შექმნილი აქვს თანამედროვე ნაგავმზიდები და ნაგვის ურნები. აღნიშნული სესხის ჯამური მოცულობა შეადგენს 584.1 ათას ლარს. გადახდა დაიწყო 2018 წელს და უნდა დასრულდეს 2026 წელს. სესხის დაფარვის გრაფიკის მიხედვით ყოველწლიურად გადასახდელი თანხის მოცულობა პირობითია და ის ზუსტდება გადახდის მომენტში, რომელიც წლის მანძილზე ხორციელდება ორ ეტაპად: 28 აპრილს და 28 ოქტომბერს. 2023 წელს შემცირება იგეგმება 100.0 ათასი ლარით.

თავი II

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2023-2026 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

1. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები, მათ ფარგლებში განხორციელებული პროგრამები და ქვეპროგრამები შემდეგი რედაქციით.

- 1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები;
- 2) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
- 3) დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- 4) განათლება;
- 5) კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- 6) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- 7) ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა.

2. განისაზღვროს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი შემდეგი რედაქციით:

ა) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (კოდი 01 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა- პრიორიტეტი მოიცავს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის ხარჯებს, ასევე საერთო დანიშნულების ხარჯებს, მათ შორის თანამშრომელთა პროფესიული უზრუნველყოფის მიმართულებით.

ბ) ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა- მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდროებასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა.) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც წინა პირობაა ტურიზმის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა- რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის მოწყობა- რეაბილიტაცია და

სხვა.დაფინანსდება როგორც ახალი ობიექტების მშენებლობა ასევე არსებულის რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები.

ბ.ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (კოდი 02 01)

პროგრამა გულისხმობს გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალი გზების მშენებლობას და არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას, სატრანსპორტო კვანძების რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება, შიდასასოფლო და შიდასაუბნე გზების ბეტონის საფარის მოწყობა, გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა. პროექტების ძირითადი ნაწილი ხორციელდება რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხებით.

პროგრამის მიზანია მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა და მოსახლეობის გადაადგილებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. მ.შ. საბავშვო ეტლით მოსარგებლებებისათვის და შშმპ პირებისათვის ადაპტირებული, ქალების, ბავშვების, ხანდაზმულთა კომფორტული, უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, მგზავრობის დროის და სატრანსპორტო დანახარჯების დაზოგვა, ქალაქში მაცხოვრებელთათვის და ტურისტებისათვის ტრანსპორტისა და ფეხით გადაადგილებისას მაღალი კომფორტის შექმნა, ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირება, ქალაქის ქუჩებში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის განტვირთვა, მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

ბ.ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია (კოდი 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება, შიდასასოფლო და შიდასაუბნე გზების ბეტონის საფარის მოწყობა, გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა. გზების პერიოდული შეკეთება, ქუჩების სავალ ნაწილსა და ტროტუარებზე დაზიანებული გრანიტის ძეღაკებისა და ფილების შეკეთება, გზის სავალ ნაწილისა და ტროტუარებზე დაზიანებული დაწნეხილი და დეკორატიული ფილების შეკეთების სამუშაოები. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: დაზიანებული ქუჩების, ტროტუარების მოწესრიგება, არსებულ ქუჩებში ასფალტ-ბეტონის საფარის და ტროტუარის ფილების დაგება, ბორდიურების მოწყობა, ბეტონის საფარის დაგება, დეკორატიული ბოძკინტებისა და ღობურების მონტაჟი, საფენმაგლო ხიდის მშენებლობა, გზებისა და ტროტუარების საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის, შშმპ პირებისთვის ადაპტირება, უსინათლოთა ბილიკებისა და პანდუსების მოწყობა,

ქვეპროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. გზების და ტროტუარების საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესება;

ბ.გ) წყლის სისტემების განვითარება (კოდი 02 02)

წყლის სისტემების განვითარების პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების როგორც სრულ ასევე ნაწილობრივ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის პრიორიტეტულია მოსახლეობის 24 საათიანი სასმელი წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში რათა წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. პროგრამა ასევე მოიცავს სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაციასა და შადრევნების წყლის ხარჯის დაფინანსებას. წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა) ასევე მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას

იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.

პროგრამის მიზანია წყლის სისტემების და სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირება, სადრენაჟე ქსელის მოწესრიგება. მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება წყლის მოხმარების დონის ამაღლება ოჯახებში. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგების უზრუნველყოფა.

ბ.დ) სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია (კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმიმღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმიმღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა. სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლოატაციისა და სანიაღვრე არხების მშენებლობა- რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის სანიაღვრე სისტემის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის დაცვა შესაძლო წყალმოვარდნებისაგან, სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა. ქალაქში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა

ბ.ე) წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული წყლის სისტემის რეაზერვუარების დაქლორვა, სოფლებში შიდასაუბნო წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია. მომსახურების ხარისხის მატება, სისტემაში შენახვის მოცულობის ზრდა.

ქვეპროგრამის მიზანია დაქლორვითი სამუშაოების შედეგად სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესება. მოსახლეობის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება წყლის მოხმარების დონის ამაღლება ოჯახებში. წყლის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ბ.ვ) გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (კოდი 02 03)

პროგრამა ითვალისწინებს ქუჩების, მოედნების, სკვერების განათებას, გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და ექსპლოატაციას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია-განვითარება, არსებული ნათურების ეკონომიური ნათურებით ჩანაცვლება, მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის გადახდა, განათების ახალი წერტილების მოწყობა.

პროგრამის მიზანია გარე განათების ქსელმა ეტაპობრივად სრულად მოიცვას დასახლებული ადგილები. ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალებისა და ბავშვების უსაფრთხო გადაადგილება, სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება. კრიმინოგენული ფაქტორების შემცირება

ბ.ზ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (კოდი 02 04)

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებში იგულისხმება მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, არსებული შადრევნების ექსპლოატაციისთვის საჭირო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.

პროგრამის მიზანია მოწესრიგდეს ქალაქის იერსახე, შეიქმნას მიმზიდველი გარემო ქალაქის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისთვის.

ბ.თ) მრავალბინიანი სახლების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია კოდი (02 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოს განხორციელება იგეგმება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით.

პროგრამის მიზანია მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტირებული სახურავები და ფასადები მოქალაქეებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.

ბ.ი) საკადასტრო რუქის დამზადება (კოდი 02 04 02)

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება.

ბ.კ) შადრევნების ექსპლოატაცია (02 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შადრევნების ექსპლოატაციისთვის საჭირო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

პროგრამის მიზანია შადრევნების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ბ.ლ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (კოდი 02 05)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, რომელიც სპეციალური ფორმულით ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებზე. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა ხდება სოფლის კრებების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ.

პროგრამის მიზანია სოფლის კრების ოქმით განსაზღვრული პროექტების შესრულება.სოფლის საჭიროებების დაკმაყოფილება.

ბ.მ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა (კოდი 02 06)

პროგრამის ფარგლებში მოხდება შენობა-ნაგებობების, ნაპირსამაგრი ჯებირების და საყრდენი კედლების, შიდასაუბნო და შიდასასოფლო გზების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სამიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას.საინჟინრო ნაგებობების პროექტირება გზების კაპიტალური მშენებლობის საპროექტო მომსახურება ავარიული სახლების პროექტირება სანიაღვრე სისტემების პროექტირება საექსპერტო მომსახურების შესყიდვა

საჭირო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად კანონმდებლობით მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა,სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით.

ბ.ნ) მშენებლობა- რეაბილიტაცია (კოდი 02 07)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული და ახალი ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია, როგორებიცაა: არასაცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები, საყრდენი კედლები და ნაპირსამაგრი ნაგებობები, სხვადასხვა დანიშნულების მქონე ობიექტები მშენებლობა, მოწყობა, შეკეთება.

პროგრამის მიზანია არსებული შენობა-ნაგებობების შეკეთება/რემონტი და სხვადასხვა დანიშნულების ახალი ობიექტების მშენებლობა.

ბ.ო)მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა,რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია (კოდი 02 07 01)

პროგრამა ითვალისწინებს საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მოწესრიგება.მუნიციპალიტეტში არის მეწყერსაშიში ფერდობები და უბნები, დაზიანებული ნაგებობები, ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები. დაგეგმილია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება. ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გაჯანსაღება; სტიქიური მოვლენებისაგან დაცული ქალაქის ქუჩები; საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის სრულყოფილი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა; საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება; ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, ახალი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, გარემო პირობების გაუმჯობესება.რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

ქვეპროგრამის მიზანია გამართულად ფუნქციონირებადი შენობა-ნაგებობები.

ბ.პ) საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა,მოწყობა,რეაბილიტაცია (კოდი 02 07 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზების გამაგრებითი სამუშაოები საყრდენი კედლების მოწყობის გზით და მდინარეების ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოწყობა.

ქვეპროგრამის მიზანია გზების გვერდულების გამაგრებითი სამუშაოების წარმოება, ნაპირსამაგრი ნაგებობების/ჯებირების მოწყობა-რეაბილიტაცია სტიქიის ლიკვიდაცია.

ბ.ჟ) საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა (კოდი 02 09)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტენდერით გამოვლენილი კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ინსპექტირება-ექსპერტიზა.

პროგრამის მიზანია სტანდარტებთან შესაბამისი და ხარისხიანი სამუშაოების მიღების უზრუნველყოფა.

გ) დასუფთავება და გარემოს დაცვა (კოდი 03 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა-მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესების და ეპიდემიური დაავადებებისგან თავის დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება,სასყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება,ტერიტორიის თოვლის საფარის გაწმენდა,მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება.მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა.დამატებითი ურნების დადგმა,არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და

ზრდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში და ქალაქის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა.

გ.ა) დასუფთავება და ნარჩენების გატანა (კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება, დამატებითი ურნებისა და დგმა.

პროგრამის მიზანი წამოადგენს ტერიტორიის დასუფთავებას, ქალაქში პირუტყვის მოძრაობის აღკვეთას და ზამთრის სეზონზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას.

გ.ბ) ქალაქის გამწვანება (კოდი 03 02)

ქალაქის იერსახის მოწესრიგებისა და ეკოლოგიაზე ზრუნვის ფარგლებში განხორციელდება არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და ზრდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში და ქალაქის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა, ხეების შეთეთრება და მოჭრა-გადაბეღვა.

პროგრამის განხორციელების მიზანს და შედეგს წარმოადგენს ქალაქის იერსახი შენარჩუნება-გაუმჯობესება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მოწესრიგება.

დ) განათლება (კოდი 04 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა- პრიორიტეტი განათლება ხორციელდება სამი მიმართულებით:

- სკოლამდელი განათლება;
- სკოლის გარეშე განათლება;
- საკოლო განათლების ხელშეწყობა.

სკოლამდელი განათლების მიზანია აღსაზრდელების სკოლისათვის მომზადება, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდის და განათლების მიწოდება. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შქმნას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, თანამედროვე სასწავლო სტანდარტის დანერგვას და განხორციელებას.

სკოლის გარეშე განათლების მიწოდება ხდება მუნიციპალიტეტში არსებული შემდეგი დაწესებულებების მეშვეობით:

- ვ.აშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა;
- ახალგაზრდული ცენტრი;
- კ.ფოცხვერაშვილის სახელობის სახელოვნებო სკოლა.

სადაც განხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები, დაიწყება ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკის დანერგვა, მოსწავლეთა აქტიური ჩართვა მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება.

სასკოლო განათლების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაიწყო 2019 წელს, მთავრობის განკარგულების შესაბამისად დელიგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. მიმდინარე წელს ჩატარდება რამდენიმე საჯარო სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და განხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სასწავლო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს: სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდის სფეროში მოქმედი

სტანდარტების შესაბამის სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დანერგვას და განხორციელებას, კვებითი უზრუნველყოფას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და განვითარებას, თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნას და სხვა.

დ.ა) სკოლამდელი აღზრდა (კოდი 04 01)

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური წლის განმავლობაში დაქვემდებარებულ ა.(ა).ი.პ-თან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს: კერძოდ სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებთა გაერთიანების სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული თანამედროვე სასწავლო სტანდარტის დანერგვა და განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას ასევე ამ სტანდარტის შეაბამისად სასწავლო სააღმზრდელო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწყობა და შესაბამისი კვებითი უზრუნველყოფა, პროგრამის ფარგლებში ა.(ა).ი.პ-ში შემავალ დაწესებულებებთან ერთად მოხდება სკოლამდელი დასკოლისგარეშე განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, ხელმისაწვდომობის გაზრდა და ეფექტური მართვის სისტემის ჩამოყალიბება.

რაც შეეხება არაფორმალურ განათლებას, განხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები, დაიწყება ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკის დანერგვა, მოსწავლეთა აქტიური ჩართვა მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სასწავლო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა. თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა. ეს დაწესებულებებია:

- ვ. ქაშაკაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა
- ახალგაზრდული ცენტრი
- კ. ფოცხვერაშვილის სახელობის სახელოვნებო სკოლა.

პროგრამის მიზანია სკოლამდელი დაწესებულებების თანაბარი ხელმისაწვდომობა, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება, უსაფრთხო და მიმზიდველი გარემოს შექმნა. მოსალოდნელი შედეგია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

პროგრამა გულისხმობს სამუსიკო სკოლის საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერას, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, სხვადასხვა კონკურსებში მონაწიეობის უზრუნველყოფას, მოალოდნელი შედეგია მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა.

ახალგაზრდული ცენტრის პრიორიტეტია პროგრამის ფარგლებში გაგრძელდეს სხვადასხვა საგანმანათლებლო ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე, განხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პრიორიტეტის მიზანია, მოსწავლეთა მხარდაჭერა და აქტივობებში ჩართულობა გამოვლენა, მათი საქმიანობის მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა.

პროგრამა გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას, მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლებას, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას, განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისებასა და მოსწავლეთა ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობას.

დ.ბ) სასკოლო განათლების ხელშეწყობის პროგრამა (კოდი 04 02)

პროგრამა გულისხმობს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შეყიდვის და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის განკარგულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.

პროგრამის მიზანია საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

ე) კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (კოდი 05 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა - ბაღდათის მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აგრძელებს კულტურული, ახალგაზრდული, სპორტული ღონისძიებების და ეკლესიის ხელშეწყობას. პრიორიტეტი გულისხმობს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს პოპულარიზაცია-განვითარებას, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. კულტურულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლებას, კულტურული ცხოვრების მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და პოპულარიზაციას, სპორტის განვითარების ხელშეწყობას და პოპულარიზაციას, სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას და მათ მრავალფეროვნებას. ამ მიზნით ფუნქციონირებს:

- რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები;
- ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური და 4 სასოფლო ბიბლიოთეკა;
- ვ.ვ. მიაკოვსისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
- საფეხბურთო კლუბი „საირმე“;
- სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი.

ე.ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება; სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება; საწვრთნელი პროცესის ორგანიზება; სახელობითი ტურნირების ჩატარება; შშმ პირებისათვის შესაბამისი სპორტული ინვენტარის შეძენა და შესაბამისი გარემოს შექმნა, ა.(ა).ი.პ სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში ბაზირებული სპორტის 9 სახეობის (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, თავ. ჭიდაობა, ბერძნულ რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, კუნგ-ფუ სანდა, კრივი, ბოჩა;) ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ქალთა სპორტის ხელშეწყობა, ფიტნეს სექტორის განვითარება.

პროგრამის მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა, სპორტული სკოლის გამართული ფუნქციონირება, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით მონაწილეობა.

ე.ბ) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება და ხელშეწყობა; ღვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული სპორტსმენების დასაჩუქრება.

პროგრამის მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა.

ე.გ) ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამა ახალია და პირველად განხორციელდა 2020 წელს. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ა. (ა). ი. პ. „საჭადრაკო კლუბი ბაღდათის“ დაფინანსება სუბსიდირების გზით. ა. (ა). ი. პ. არ არის მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული.

ქვეპროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობას. პირველ ეტაპზე გაცემული სუბსიდია მოხმარდება საჭადრაკო ტურნირებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ე.დ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 05 02)

პროგრამა გულისხმობს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს პოპულარიზაცია-განვითარებას, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. კულტურულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამალგებას, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მიმზიდველი და საინტერესო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების შექმნას, სადაც მოსახლეობა იღებს განათლებას და ინფორმაციას, რაც ხელს უწყობს განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ინფრასტრუქტურის განვითარებას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების შენარჩუნების და პოპულარიზაციის მიზნით ფუნქციონირებს ა. (ა). ი. პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი, რომელშიც თავის მხრივ გაერთიანებულია:

1. რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები.
2. ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური და 4 სასოფლო ბიბლიოთეკა.
3. ვ. ვ. მაიაკოვსისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

პროგრამის მიზანია ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ბიბლიოთეკების, მუზეუმების და თეატრისადმი მოსახლეობის დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების ხელშეწყობა, მიმზიდველი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების შექმნა, კულტურის დაწესებულებების გამართულად ფუნქციონირება.

ე.ე) კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების, ფესტივალებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზებას.

კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას,

სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე შემოქმედებითი ჯგუფების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ყვავილების თაიგულების შექმნას საერო, საეკლესიო და კულტურული ღონისძიებების აღსანიშნავად.

ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდა. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია. კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა მათი მოტივაციის გაზრდა.

ე.ვ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (კოდი 05 03)

პროგრამა გულისხმობს:

1) ახალგაზრდული პლატფორმების(საბჭო, ცენტრი, კლუბი) გაძლიერებას და ხელშეწყობას ახალგაზრდული სტრატეგიის მიხედვით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით.

2) მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას ტრენინგების ორგანიზების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას მუნიციპალური პროგრამების შემუშავების პროცესში.

3) ახალგაზრდების ინფორმირებას მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსების შესახებ და მათ კვალიფიციური მხარდაჭერას.

4) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დასაქმების ფორუმის ორგანიზებას.

5) რეკრეაციული, შემეცნებითი და კულტურული ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერას. (ლაშქრობები, ექსკურსიები, ინტელექტუალური თამაშები)

6) ახალგაზრდებისათვის პოტენციურად ხელმისაწვდომი შეკრების სივრცეებისა და მასში კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

7) ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარებას, რომელიც მიზნად ისახავს მოხალისეობრივი ინსტიტუტის პოპულარიზებასა და გაძლიერებას, მოსახლეობის ჩართვას სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თითოეული ინდივიდის პიროვნულ ზრდას (ტრენინგების/სემინარების/სასწავლო სესიების/პრაქტიკული სავარჯიშოების და ა.შ. საშუალებით) სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც განხორციელდება საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოების მხარდაჭერითა და ჩართულობით

ახალგაზრდული პროგრამების განხორციელება მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდებს აქვთ თვითრეალიზაციის და თვითგამოხატვის შესაძლებლობა, იზიარებენ ურთიერთთანამშრომლობის და ტოლერანტობის პრინციპებს. უზრუნველყოფილია მათი მონაწილეობა ახალგაზრდული საქმიანობის კუთხით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ე.ზ) ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა (კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა რომელიც ხორციელდება ბალდათის მუნიციპალიტეტსა და ვანი-ბალდათის ეპარქიას შორის გაფორმებული სუბსიდირების ხელშეკრულების ფარგლებში.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეკლესიის ფინანსური ხელშეწყობა.

ვ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა - ბაღდათის მუნიციპალიტეტის განაგრძობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას რა მიზნითაც პრიორიტეტით გათვალისწინებულია 22 პროგრამა. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

გ.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

1. არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
2. დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
3. მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
4. სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
5. ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილსაიმედო სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ფონის შექმნა.

გ.ბ) სამედიცინო დახმარების ხარჯები (კოდი 06 02 01)

ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავდროულად ფაქტობრივად მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 65 000-მდეა ან წარმოადგენენ მერის წარმომადგენლის შუამდგომლობას რომელშიც დადასტურებული იქნება მოქალაქის დახმარების საჭიროება ნაწილობრივ აუნაზღაურდებათ სამედიცინო მომსახურების (კვლევა, ოპერაცია, მკურნალობა, ქიმიოთერაპია) ხარჯები. ასანაზღაურებელი თანხის რაოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად. თანხა ჩაირიცხება მომსახურების მომწოდებელი სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე. ონკოლოგიური პაციენტები თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულისა და მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის წარმოდგენისაგან.

პროგრამის მიზანია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და მათზე ზრუნვა, მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება. დაავადებათა გართულების პრევენცია. სამედიცინო მომსახურებაზე ბენეფიციართა ხელმისაწვდომობა.

ვ.გ) ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები (კოდი 06 02 02)

ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ვეტერანების გარდაცვალების შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მათ ოჯახებს გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 250 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამა ხორციელდება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ქვეპროგრამის მიზანია ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება. ვეტერანთა ოჯახების მხარდაჭერა.

ვ.დ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მებრძოლთა ოჯახების დახმარების ხარჯები (კოდი 06 02 03)

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრები (მშობელი, მეუღლე ან შვილი), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ბაღდათის მუნიციპალიტეტში, წელიწადში ერთჯერადად მიიღებენ ფულად დახმარებას 300 ლარის ოდენობით (8 აგვისტოს ან 27 სექტემბრის თარიღებთან დაკავშირებით).

ქვეპროგრამის მიზანია აქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების სოციალური დახმარება, მხარდაჭერა და თანადგომა.

ვ.ე) ოფასო სასადილოების დაფინანსება (კოდი 06 02 04)

ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უმწეო და სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეები ყოველდღიურად მიიღებენ უფასო სადილს. ბენეფიციარი შეირჩევა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის „სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის" მიერ.

მიზანია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვებით უზრუნველყოფა.

ვ.ვ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (კოდი 06 02 05)

ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, რომელთაც 2021- 2022 წლებში შეეძინათ მეორე ან შემდეგი შვილი, საჩუქრად მიეცემათ: მეორე შვილის შეძენის შემთხვევაში 200 ლარი, მესამე შვილის შეძენისას 300 ლარი, მეოთხე და შემდეგი შვილის შეძენისას 500 ლარი, ტყუპების შეძენისას 800 ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

ვ.ზ) სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი (კოდი 06 02 06)

